

<p>მიზნები</p>	<p>სასწავლო პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სამართლებრივი საფუძვლების გაცნობით, მუნიციპალიტეტის გამგეობაში/მერიაში დასაქმებული იმ მოხელეთათვის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოხელეებისა) კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაბამისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ცოდნის მიცემასა და უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელშეწყობა, რომელთა თანამდებობის სამუშაო აღწერილობა მოიცავს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე მუშაობას</p>
<p>შესასწავლი ძირითადი თემები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის საკითხთა მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და მათი რეგულირების სფეროები 2. მუნიციპალიტეტის მიერ ქონებრივი უფლებების განხორციელების ძირითადი პრინციპები 3. მუნიციპალიტეტის ქონება, მისი კატეგორიები და არსებული შეზღუდვები, მუნიციპალიტეტის ქონების კატეგორიის გათვალისწინებით 4. მუნიციპალიტეტის ქონების შექმნის წყაროები 5. რას მოიცავს მუნიციპალიტეტის ქონების მართვა 6. ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ურთიერთობა სახელმწიფოსთან, ავტონომიურ რესპუბლიკასთან და სხვა სუბიექტებთან 7. მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირები, როგორც მუნიციპალიტეტის მიერ სამართავი ქონება 8. რას მოიცავს მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა 9. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება, ფორმები და წესი 10. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა, ფორმები და წესი 11. წილებისა და აქციების განკარგვის ფორმები და წესი
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>იგის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის საკითხთა მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და მათი

რეგულირების სფეროები

შეუძლია:

- სათანადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სათანადო ნორმების გამოყენება

იცის:

- მუნიციპალიტეტის მიერ ქონებრივი უფლებების განხორციელების ძირითადი პრინციპები

შეუძლია:

- ქონებრივი უფლებების განხორციელების ძირითად პრინციპებზე გადაწყვეტილებების პროექტების დაფუძნება

იცის:

- მუნიციპალიტეტის ქონების არსი, მისი კატეგორიები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები მუნიციპალიტეტის ქონების კატეგორიის გათვალისწინებით

შეუძლია:

- მუნიციპალიტეტის ქონების განსაზღვრა; ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების გამიჯვნა; ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის შესახებ ინფორმაციის მოძიება; მოთხოვნის პროექტის მომზადება სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოსთვის წარსადგენად; ქონების გასხვისების თაობაზე გადაწყვეტილების პროექტის მომზადება

იცის:

- მუნიციპალიტეტის ქონების შექმნის წყაროები

შეუძლია:

- მუნიციპალიტეტის ქონების შექმნის წყაროს განსაზღვრა; მუნიციპალიტეტის ქონების გამიჯვნა მუნიციპალიტეტის ქონების შექმნის წყაროს კრიტერიუმით; სახელმწიფოსთან ურთიერთობის ხელშეწყობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომლის გადაცემა შესაძლებელია მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ

იცის:

- რას მოიცავს მუნიციპალიტეტის ქონების მართვა

შეუძლია:

- მუნიციპალიტეტის ქონების მართვის საკითხების განსაზღვრა; მუნიციპალიტეტის ქონების მართვასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება

იცის:

- ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ურთიერთობა სახელმწიფოსთან,

ავტონომიურ რესპუბლიკასთან და სხვა სუბიექტებთან

შეუძლია:

- შესაბამისი მოთხოვნების და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება; სახელმწიფოსთვის/ავტონომიური რესპუბლიკისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროექტების მომზადება;

იცის:

- მუნიციპალიტეტის/მუნიციპალტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირები, როგორც მუნიციპალიტეტის მიერ სამართავი ქონება

შეუძლია:

- კერძო სამართლის იურიდიული პირების სათანადო წესით მართვისათვის/მართვაში მონაწილეობის მიღებისათვის გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება; კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;

იცის:

- რას მოიცავს მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა

შეუძლია:

- მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემის და სახელმწიფოსთვის, ავტონომიური რესპუბლიკისთვის, შესაბამისი მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის საკუთრებაში/სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხების გამიჯვნა;

იცის:

- მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება, ფორმები და წესი

შეუძლია:

- მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის განსაზღვრა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; პრივატიზების ფორმების განსაზღვრა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; საჯარო და ელექტრონული აუქციონის ჩატარების საჭიროების განსაზღვრა/აუქციონის ორგანიზებაში მონაწილეობა; პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების პროექტის/ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე

	<p>გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაში მონაწილეობაა;</p> <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა, ფორმები და წესი <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმების და წესის განსაზღვრა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შესწავლა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემდეგ, სათანადო კონტროლის დაწესება და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • წილებისა და აქციების განკარგვის ფორმები და წესი. <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • წილების და აქციების განკარგვის ფორმების განსაზღვრა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; წილების და აქციების აუქციონის სახის განსაზღვრა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; წილების და აქციების მართვის უფლებით გადაცემის საკითხის განსაზღვრა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება; მუნიციპალიტეტის წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემის შემდეგ, კონტროლის დაწესება და გადაწყვეტილების პროექტის მომზადება.
მოცულობა	კრედიტი: 0,7 საკონტაქტო საათი: 14
მწვრთნელი/მწვრთნელები	ნინო ფურცხვანიძე
სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია	<p>ნინო რომაშვილი</p> <p>ელ.ფოსტა: nromashvili@tcj.gov.ge</p> <p>ტელ: 599 58 88 01; 2 94 22 28; 2 38 22 59</p>